ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 29 იანვრის სხდომის

ოქმი #1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2026 წლის 29 იანვარს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა პეტრე ბაბილუამ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 24 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ. ჭელიძე და გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი გ. ბრეგვაძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
2. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების შესახებ. როგორც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ. ჭელიძემ აღნიშნა, ცვლილებების ძირითადი ნაწილი განპირობებული იყო საგანმანათლებლო პროგრამებში სავალდებულო საგნის „ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის“ (5 კრედიტი) დამატებითა და მისი სწავლების სემესტრის განსაზღვრით (საფუძველი - საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“). ეს ცვლილება შეეხო ყველა საბაკალავრო პროგრამას. გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამებსა და ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაში მოხდა სილაბუსების განახლება, არჩევითი საგნების დამატება, საგნის სემესტრული ცვლილება, საგანში ლექტორის ცვლილება და საათობრივი განაწილების ცვლილება. ცვლილებების საფუძველია პროგრამის განვითარება (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა. შენგელაიამ და ნ. შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების შესახებ (იხ. დანართი 1).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე - მიმდინარე საკითხები. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს

დასამტკიცებლად წარუდგინა ქიმიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომის, ასევე გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება (იხ. დანართი 2).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ქიმიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომის, ასევე გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენილი თემები და ხელმძღვანელები (იხ. დანართი 2).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი პეტრე ბაბილუა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი